



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

აუდიტის დეპარტამენტი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში

ინფორმაცია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის
ხარჯვასა და შესრულებასთან დაკავშირებული 2021 წელს ჩატარებული აუდიტების
შედეგების შესახებ

2022 წელი

თბილისი

შინაარსი

1. დეპარტამენტში დასრულებული (დამტკიცებული) აუდიტები.....	4
2. 2021 წლის ბიუჯეტის ყოველკვარტალური ანალიზი (მონიტორინგი).....	6
3. ჩატარებული აუდიტების შედეგები	6
4. გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა.....	13
5. აფხაზეთის ა/რ უმაღლეს საბჭოში წარდგენილი ინფორმაციები.....	15

შემოკლებანი და ტერმინთა განმარტება:

სას – სახელმწიფო აუდიტის სამსახური.


დეპარტამენტი – აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტი.

ა/რ – ავტონომიური რესპუბლიკა.

1. დეპარტამენტში დასრულებული (დამტკიცებული) აუდიტები

დეპარტამენტი ყოველი წლის დასაწყისისში, შესაბამისი პრიორიტეტული მიმართულებების გათვალისწინებით, ადგენს აუდიტორული საქმიანობის გეგმას, რომელიც განისაზღვრება დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული მოსაზრებებისა და ინიციატივების, აგრეთვე აუდიტის შერჩევის სხვა კრიტერიუმების¹ საფუძველზე. პრიორიტეტული, რისკზე დაფუძნებული მიდგომით დეპარტამენტი ყოველწლიურად მიზნად ისახავს, გაზარდოს აუდიტორული საქმიანობის შედეგად მოტანილი სარგებელი. ამ მიმართულებით, 2021 წელს წლიური გეგმით დაზუსტდა აუდიტების რაოდენობა² და დადგინდა აუდიტორული საქმიანობით რესპუბლიკური ბიუჯეტის თანხობრივი და სექტორული დაფარვის მაჩვენებელი.

დიაგრამა 1. თანხობრივი დაფარვის მაჩვენებელი **დიაგრამა 2.** ჩატარებული აუდიტები წლების მიხედვით (ათასი ლარი)



აუდიტორული საქმიანობის შედეგად, 2021 წელს დეპარტამენტმა შეადგინა ერთი ფინანსური და 2 შესაბამისობის აუდიტის ანგარიში. ფინანსური და შესაბამისობის აუდიტებით ჯამში მოცვამ შეადგინა 21,140 ათასი ლარი,³ რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (22,051 ათასი ლარი) მიმართებით 95.9%-ია.

ჩატარებული აუდიტებით გამოვლენილმა დარღვევების თანხობრივმა მოცულობამ – 1,870 ათასი ლარი, მათ შორის, არასწორად აღრიცხულმა თანხამ შეადგინა 1,121 ათასი ლარი, არარაციონალურად, არაეკონომიურად განკარგულმა თანხამ – 749 ათასი ლარი, ხოლო ეფექტიანი მენეჯმენტის პირობებში შესაძლებელი იქნებოდა 1,837 ათასი ლარის დაზოგვა. გასული წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემებთან (3,374 ათასი ლარი) შედარებით, საგრძნობლად, 333 ათასი ლარითაა⁴ გაზრდილი დარღვევების თანხობრივი მოცულობა. ამასთანავე, არასწორი აღრიცხვით გამოვლენილი დარღვევების თანხობრივი მოცულობა 967 ათასი ლარითაა შემცირებული.⁵ ამავდროულად, არარაციონალურად, არაეკონომიურად

¹ დიდი მოცულობის საბიუჯეტო თანხები; მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი; არასწორი მართვა; სისტემური რეფორმის საჭიროება; ბოლო პერიოდში არ ჩატარებულა აუდიტი.

² აუდიტების რაოდენობა შემცირდა ერთით, რაც აიხსნება გაგრძელებული (გაჭიანურებული) კოვიდსიტუაციის გავლენით.


³ მათ შორის, დაფარვა ფინანსური აუდიტებით შეადგენს 19.2 მილიონ ლარს.

⁴ $3,707 - 3,374 = 333$.

⁵ $2,088 - 1,121 = 967$.

განკარგული თანხები გაზრდილია 620 ათასი ლარით⁶ და თანხების დაზოგვის მაჩვენებელი – 680 ათასი ლარით.⁷

დიაგრამა 3. დარღვევების თანხობრივი მოცულობა (ათასი ლარი)



ცხრილი №1 ინფორმაცია ჩატარებული აუდიტებისა და აუდიტის ობიექტების შესახებ

№	აუდიტის ობიექტი	შემოწმებული პერიოდი	შემოწმებული თანხა (ლარი)	აუდიტის ტიპი	გადაგზავნა (დამტკიცება) თარიღი და ნომერი	აუდიტორები
1.	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციების წაერთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი	01.01.20 - 01.01.21	19,150,636	ფინანსური	აუდიტის ანგარიში №39/36; 19.10.2021	უფროსი აუდიტორი – ეთერ კაცაძე, უფროსი აუდიტორი – მიხეილ გოდოლაძე, უფროსი აუდიტორ-ასისტენტი – ნინო ბრეგვაძე, უფროსი აუდიტორ-ასისტენტი – საბა გაწერელია
2.	ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და დევნილთა სამინისტროში დევნილთა ჩასახლების ობიექტებში სარემონტო-ალდგენითი სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა	01.01.19 - 01.01.21	230,000	შესაბამისი	აუდიტის ანგარიში №46/36; 26.11.2021	წამყვანი აუდიტორი – ნოდარ გაბედავა, აუდიტორი – ფრიდონ დონაძე, უფროსი აუდიტორ-ასისტენტი – საბა გაწერელია
3.	სსიპ - დევნილთა საარსებო წყაროების მხარდამჭერი პროექტებისა და პროგრამების სააგენტოს მიერ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა	01.01.19 - 01.01.21	1,759,670	შესაბამისი	აუდიტის ანგარიში №2/36; 17.01.2022	უფროსი აუდიტორი – მიხეილ გოდოლაძე, უფროსი აუდიტორი – ეთერ კაცაძე, უფროსი აუდიტორ-ასისტენტი – ნინო ბრეგვაძე
სულ:			21,140,306			

⁶ 749 – 129 = 620.

⁷ 1,837 - 1,157 = 680.

2. 2021 წლის ბიუჯეტის ყოველკვარტალური ანალიზი (მონიტორინგი)

2021 წლის ბიუჯეტის ყოველკვარტალური ანალიზი (რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობასთან დაკავშირებით მოხსენების მომზადების მიზნით) ძირითადად ხორციელდებოდა შემდეგ სამინისტროებსა და უწყებებში:

- აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო;
- აფხაზეთის ა/რ მთავრობის აპარატი;
- აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო;
- აფხაზეთის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო;
- აფხაზეთის ა/რ იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სამინისტრო;
- იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში მინისტრის აპარატი.

3. ჩატარებული აუდიტების შედეგები

აუდიტორული საქმიანობის განვითარების მიმართულებით, დეპარტამენტი ყურადღებას უთმობდა სისტემური ხასიათის ხარვეზების გამოვლენასა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას, რაც აისახა დეპარტამენტის დასკვნებსა და მოხსენებებში, როგორც რესპუბლიკური ბიუჯეტის, ისე ცალკეული მხარჯავი დაწესებულებისათვის ინფორმაციის მიწოდებისას.

ჩატარებული აუდიტებით გამოვლინდა რიგი გარემოებები, რომლებიც შესაბამის რეაგირებას საჭიროებენ როგორც ცალკეული უწყების, ისე სისტემურ დონეზე.

☐ სახელმწიფო უძრავ-მოდრავი ქონების გამოყენების (მართვის) ნაკლოვანებები

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აფხაზეთის ა/რ სამინისტროების, სხვადასხვა ორგანიზაციისათვის (სსიპ-ები) და წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოებისათვის გადაცემული უძრავ-მოდრავი ქონების გამოყენებასთან (მართვასთან) დაკავშირებული ნაკლოვანებები, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული ნაკლოვანებები წინა პერიოდშიც ფიქსირდებოდა და ისინი სრულად ჯერ კიდევ არ გამოსწორებულა. ხშირია სახელმწიფო ქონების არა მართო უკანონოდ (შესაბამისი კანონიერი საფუძვლის გარეშე) გამოყენების, არამედ უმეტესად ისეთი ფაქტებიც, როდესაც აღნიშნული ქონების მიმართვა არ ხორციელდება დანიშნულებისამებრ. შესაბამისად, აშკარაა სახელმწიფო ქონების არამიზნობრივად და არაეფექტიანად გამოყენება (მართვა).

ასე მაგალითად:

- აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო და მასთან არსებული ორგანიზაციები (სსიპ-ები, შპს-ები და სხვა ორგანიზაციები) - აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან სარგებლობის უფლებით გადმოცემულ შენობა-ნაგებობის ფართეზე ყოველკვარტალური

სამართლებრივი (კანონიერი) საფუძვლის გარეშე, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის დადგენილი წესის მოთხოვნათა შეუსაბამოდ, აუდიტის პერიოდში განთავსებული იყო და ფუნქციონირებდა სამინისტროს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები (შპს-ები), კერძოდ:

- დაბა წყნეთში არსებულ შენობა-ნაგებობასა და მასზე დამაგრებულ მიწის ნაკვეთზე, საერთო ფართობით – 599 კვ.მ, განთავსებული იყო და ფუნქციონირებდა შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი – „ცხუმი“;
- ქ. წყალტუბოში, 26 მაისის ქ. №17-ში მდებარე შენობა-ნაგებობასა და მასზე დამაგრებულ მიწის ნაკვეთზე, საერთო ფართობით – 750 კვ.მ, განთავსებული იყო და ფუნქციონირებდა შპს „იგპ წყალტუბოს პოლიკლინიკა“;
- ქ. ხობში, 100 კვ.მ ფართზე განთავსებული იყო და ფუნქციონირებდა შპს „აფხაზეთიდან იგპ ხობის პოლიკლინიკა“;
- ქ. თბილისში, კალოუბნის ქ. №16-ში განთავსებული იყო და ფუნქციონირებდა შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი „აფხაზეთი“.

- აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სსიპ – დევნილთა საარსებო წყაროების მხარდამჭერი პროგრამებისა და პროექტების სააგენტო⁸ (შემდგომ – სსიპ – პროგრამების სააგენტო):

- სსიპ – პროგრამების სააგენტოს სარგებლობის უფლებით ბალანსზე ერიცხებოდა ხობის რაიონის სოფელ ხამისქურში მდებარე 4,200 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე 78,487 ლარის საბალანსო ღირებულების შენობა-ნაგებობა. აღნიშნული შენობა-ნაგებობით სარგებლობდა არაუფლებამოსილი ფიზიკური პირი, რომელსაც ფართზე მოწყობილი ჰქონდა დაფნის საშრობი. შესაბამისად, შენობა-ნაგებობა (მიწასთან ერთად) და იქ განთავსებული აქტივები გამოიყენებოდა არაუფლებამოსილი პირის მიერ მართლზომიერი და კანონიერი საფუძვლის გარეშე. ამრიგად, იმის გამო, რომ მოქმედი კანონმდებლობით⁹ არ განხორციელდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლოდ ან სასყიდლოდ (ქირით, იჯარით) გადაცემა, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების გამოყენება ხორციელდებოდა არამართებულად, არამიზნობრივად და არაეფექტიანად.

- აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო, აფხაზეთის ა/რ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სამინისტრო, აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო - სამინისტროების¹⁰ ბალანსზე ირიცხებოდა ფიზიკურად ამორტიზებული და საექსპლუატაციოდ გამოუყენებელი აქტივები. გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფო სარგებლობაში გადაცემული ქონება სათანადოდ არ იყო გამოყენებული და, ამავდროულად, აღნიშნული გამოუყენებელი ქონების დაცვასა და მოვლა-შენახვაზე გაწეულ იქნა ხარჯები, სახელმწიფო ქონების მართვა ხორციელდებოდა არაეფექტიანად.

⁸ დღეისათვის: სსიპ – პროგრამებისა და სერვისების სააგენტო.

⁹ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁰ ფინანსთა სამინისტრო, დევნილთა სამინისტრო, განათლების სამინისტრო.

□ **შრომის ანაზღაურების ფონდის ზრდისა და ხელშეკრულებით (შტატგარეშე) მოსამსახურეების დაქირავების ნაკლოვანებები**

მოქმედი კანონმდებლობის¹¹ მიხედვით დაუშვებელი იყო 2018–2020 საბიუჯეტო წლებში საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების ფონდის გაზრდა 2018 წლის შესაბამისი ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში განსაზღვრულ ჯამურ მაჩვენებელთან შედარებით, გარდა კანონის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, თუმცა მიუხედავად ამისა, აფხაზეთის ა/რ რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ ხაზინის ამონაწერებიდან სახაზინო კოდით – 2.1 „შრომის ანაზღაურება“ საკასო ხარჯების 2018–2020 წლების მონაცემების შედარებით გაირკვა, რომ 2020 წელს კანონის მოთხოვნათა გაუთვალისწინებლად გაიზარდა შრომის ანაზღაურების ხარჯები თითქმის ყველა მხარეზე დაწესებულებაში. შესაბამისად, შრომის ანაზღაურების (სახელფასო ფონდის) ხარჯვა, ჯამში – 495.7 ათასი ლარის გაზრდით დაფიქსირდა საბიუჯეტო სახსრების კანონშეუსაბამოდ.

მოქმედი კანონმდებლობის¹² მიხედვით, დაუშვებელია პოლიტიკური თანამდებობის პირის თანამდებობრივი სარგო დადგინდეს ამ თანამდებობის პირისათვის 2017 წელს გაცემულ საშუალო თვიური შრომის ანაზღაურებაზე მეტი ოდენობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბიუჯეტო წლის დაწყებამდე, საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის განხილვის პროცესში ხორციელდება აღნიშნული ცვლილების მიღება. მიუხედავად ამისა, აფხაზეთის ა/რ უმაღლეს საბჭოში პოლიტიკური თანამდებობის პირებზე 2020 წელს დაფიქსირდა ხელფასების საშუალოდ 45%-იანი ზრდა.¹³ შესაბამისად, 2020 წლის 10 თვის განმავლობაში ჯამში – 199.3 ათასი ლარის საბიუჯეტო სახსრები გაიხარჯა, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შეუსაბამოდ.

ამავდროულად, აფხაზეთის ა/რ მთავრობის აპარატში პოლიტიკური თანამდებობის პირზე 2020 წელსაც გრძელდებოდა კანონმდებლობის მოთხოვნების გაუთვალისწინებლად გაზრდილი თანამდებობრივი სარგოს – 5,750 ლარის¹⁴ გაცემა და ჯამში – 15,000 ლარის საბიუჯეტო სახსრები გაიხარჯა კანონმდებლობის მოთხოვნათა შეუსაბამოდ.

ასევე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ხელშეკრულებით დასაქმებული მოსამსახურეები (ისევე, როგორც წინა წლებში) ასრულებდნენ არა დროებით, არამედ ხანგრძლივი პერიოდით მუდმივი ხასიათის სამუშაოებს. ამავდროულად, გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის (ანგარიშგების) ოფიციალურად დადასტურებული რაიმე სახის დოკუმენტი ან ინფორმაცია, რომლითაც დადგინდებოდა შესრულებული კონკრეტული სამუშაოს (მომსახურება) შედეგი და აქედან მიღებული სარგებელი, უმეტეს შემთხვევაში არ იყო წარმოდგენილი. ამასთანავე, არც გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში ყოფილა ასახული შესრულებული სამუშაოს ანგარიშის ფორმის შესახებ.

¹¹ საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ მუხლი 34, პუნქტები: პირველი და მე-3.

¹² საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“, მუხლი 34, პუნქტი 6.

¹³ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2020 წლის 2 მარტის N01/21 ბრძანება.

¹⁴ 2018 წლის საშუალო თანამდებობრივ სარგოსთან შედარებით გაზრდილია 1,250 ლარით.

ზემოაღნიშნული ფაქტები დაფიქსირდა აფხაზეთის ა/რ უმაღლეს საბჭოში (შემდგომ – უმაღლესი საბჭო), აფხაზეთის ა/რ მთავრობაში (შემდგომ – აფხაზეთის მთავრობა), აფხაზეთის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის (შემდგომ – აფხაზეთის ჯანდაცვა) აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის (შემდგომ – აფხაზეთის განათლება), აფხაზეთის ა/რ იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა (შემდგომ – აფხაზეთის დევნილთა) და აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის (შემდგომ – აფხაზეთის ფინანსთა) სამინისტროებში.

უწყებებში ხელშეკრულებით დასაქმებული მოსამსახურეების დაქირავებაზე გაწეული ხარჯები საშუალოდ, „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან გაწეული ხარჯების 51%-ს შეადგენდა, ხოლო „შრომის ანაზღაურების“ მუხლიდან გაწეულ ხარჯებთან მიმართებით, მერყეობდა 8%-20%-ის ფარგლებში. გარდა ამისა, ხელშეკრულებით დასაქმებულთა რიცხოვნობა შტატით დასაქმებულთა რიცხოვნობასთან მიმართებით, უმეტესად, 20%-45%-ის ფარგლებში მერყეობდა, ხოლო წინა წელთან შედარებით ფიქსირდებოდა ხარჯების 9%-იანი ზღვრული ზრდა.

□ რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების დაგეგმვა-შესრულების ნაკლოვანებები

აღსანიშნავია, რომ ჩატარებული აუდიტებით დაფიქსირდა როგორც პროგრამების/ქვეპროგრამების დაგეგმვაში, ისე მათ შესრულებაში არსებული ნაკლოვანებები. გამოვლენილი ხარვეზები ძირითადად უკავშირდებოდა „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის“¹⁵ შეუსაბამოდ დაგეგმვა-შესრულების ფაქტებს, რაც არ იძლეოდა პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში ხარისხობრივი, პროდუქტიულობის, ეკონომიურობის და ეფექტიანობის პრინციპების გათვალისწინებით დაგეგმილი/მიღწეული შედეგების სრულყოფილად შეფასების შესაძლებლობას.

ასე მაგალითად:

- **აფხაზეთის დევნილთა სამინისტრო** - აფხაზეთის დევნილთა სამინისტროში შესაბამისობის აუდიტით დადგინდა პროგრამების როგორც დაგეგმვის, ისე მათი შესრულების ხარვეზები, კერძოდ:
 - სამინისტროს¹⁶ 2019 წელს არ წარუდგენია საბიუჯეტო განაცხადებთან დაკავშირებული კოდექსით¹⁷ მოთხოვნილი ინფორმაცია სრულად, ხოლო 2020 წლის განაცხადი არ შეესაბამებოდა მეთოდოლოგიის¹⁸ მოთხოვნებს. შესაბამისი კონტროლის მექანიზმების არარსებობისა და პასუხისმგებელი პირების არასათანადო ქმედებების გამო, დაირღვა პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის ძირითადი პრინციპები და შეიქმნა საბიუჯეტო ასიგნებების არარაციონალურად ხარჯვის რისკები;

¹⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 14 აგვისტოს №265 ბრძანება.

¹⁶ ამ პერიოდში დეპარტამენტის სტატუსით ფუნქციონირებდა.

¹⁷ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლები: 98 და 99.

¹⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“, დანართი №3 - ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით შედგენის მეთოდოლოგია, თავი 2.7.

- სამინისტროს მიერ არ იყო ფორმალიზებული და შესწავლილი დევნილთა კომპაქტურად დასახლებულ ობიექტებზე სარემონტო სამუშაოების ჩატარების მოთხოვნები, კერძოდ, მოსახლეობაში არსებული საჭიროებები სარემონტო სამუშაოებზე. შესაბამისად, არ დადგენილა სამუშაოთა ის მოცულობა,¹⁹ რომლითაც განისაზღვრებოდა პროგრამის მასშტაბი, მიზნები, ამ მიზნების განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური და შრომითი რესურსები; არ იყო დამტკიცებული კრიტერიუმები, რომლებითაც განისაზღვრებოდა ობიექტის პრიორიტეტულობა, სარემონტო სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა;
 - 2019 წელს 10 ობიექტზე – 144,174 ლარის და 2020 წელს 6 ობიექტზე – 78,380 ლარის ღირებულების სარემონტო სამუშაოები დაიგეგმა და შესრულდა მონაცემთა საინფორმაციო ბაზის არასრულყოფილად შესწავლის და შერჩევის კრიტერიუმის არარსებობის პირობებში. აღნიშნულმა გარემოებამ შექმნა სამინისტროს მხრიდან სუბიექტური მიდგომისა და სარემონტო ობიექტების არამართლზომიერად შერჩევის რისკები, ასევე განაპირობა საბიუჯეტო ასიგნებების არარაციონალურად ხარჯვის შესაძლებლობა.
- **სსიპ – პროგრამების სააგენტო** - სსიპ – პროგრამების სააგენტოში შესაბამისობის აუდიტით გამოვლინდა პროგრამების/ქვეპროგრამების შესრულებაში არსებული დარღვევა-ნაკლოვანებები, კერძოდ:
 - მოქმედი 10 პროგრამიდან – 4 ფაქტობრივად არ შესრულებულა. მიუხედავად იმისა, რომ გაწერილი იყო ღონისძიებები, რომლებიც უნდა განხორციელებულიყო და გაიხარჯა საბიუჯეტო სახსრები, საბოლოო დაგეგმილი შედეგი ვერ იქნა მიღწეული;
 - 18 07 03 პროგრამის ფარგლებში სოფელ ზემო ქვალონში (ხობის მუნიციპალიტეტი) მდებარე მიწის ნაკვეთზე დაგეგმილი იყო ლურჯი მოცვის დარგვა და მიღებული მოსავლის რეალიზაცია, თუმცა ჩატარდა მხოლოდ მიწის შემოღობვის სამუშაოები და პროგრამის მიზნების შესრულების მიზნით სხვა დამატებითი ქმედითი ღონისძიებები არ განხორციელებულა;²⁰
 - 18 07 06 პროგრამის ფარგლებში სოფელ ხამისქურში (ხობის მუნიციპალიტეტი) მდებარე მიწის ნაკვეთზე დაგეგმილი იყო დაფნის ფოთლის გადამუშავების საამქროს მოწყობა და მიღებული პროდუქციის რეალიზაცია, თუმცა განხორციელდა მხოლოდ ფართზე არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია, რომელშიც ამჟამად არაუფლებამოსილი პირის მიერ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მოწყობილია და ფუნქციონირებს დაფნის საშრობი. ასევე არასაკმარისი ღონისძიებების გამო, დაფნის ნერგები განადგურდა და პროდუქციაც ვერ იქნა მიღებული. ამ პროგრამის შედეგად მიღებული დაფნის ნერგები 18 07 07 პროგრამის შესაბამისად უნდა გადატანილიყო

¹⁹ ფიზიკური მაჩვენებლებით და დროის მოცემული მომენტისათვის მოქმედი განფასებებით გაანგარიშებული სამუშაოთა სავარაუდო ღირებულება.

²⁰ თაღლითობა-მითვისების მუხლით, მათ შორის, მოცვთან დაკავშირებით, დაკავებულია სააგენტოს ყოფილი ხელმძღვანელი და საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ 2021 წლის 20 დეკემბერს გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციით, ასევე დააკავეს აფხაზეთის ა/რ სავაჭრო პალატის ვიცე-პრეზიდენტი, რომელიც ამავდროულად შპს „მედერის“ დირექტორიც იყო. აღნიშნულ პირს მოცვის საკითხთან დაკავშირებით თანხების მითვისების ბრალდება წარედგინა.

სოფელ რიყეში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) მდებარე მიწის ფართზე, რომელიც მხოლოდ შემოიღობა და მოეწყო ჭაბურღილი. შესაბამისად, აღნიშნული პროგრამის შედეგიც (დაფნის პლანტაციის გაშენება და დაფნის ფოთლის რეალიზაცია) ვერ იქნა მიღწეული;

- 18 07 08 პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო ზუგდიდსა და წალენჯიხაში მცხოვრები დევნილების სათბურების რეაბილიტაცია და შემდგომი მომსახურების მიწოდება. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიზნით დახარჯულია საბიუჯეტო სახსრები და გაფორმებულია შესაბამისი დოკუმენტაცია, აუდიტორული პროცედურებით დადგინდა, რომ ბენეფიციარებს დამატებითი სათბურები ან/და არსებულის რეაბილიტაციის მომსახურება არ მიუღიათ. შესაბამისად, პროგრამით განსაზღვრული მიზნები არ არის მიღწეული.²¹

შედეგად, სსიპ – პროგრამების სააგენტოს მხრიდან 2019-2020 წლებში არამიზნობრივად გაიხარჯა ჯამში 252,643 ლარის საბიუჯეტო სახსრები.

ზემოაღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ინფორმაცია, შესაბამისი მასალებით, გადაიგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში.

- სსიპ – პროგრამების სააგენტოში ფინანსური აუდიტით გამოვლინდა, რომ:
 - სსიპ – პროგრამების სააგენტომ დაგეგმა და განახორციელა ერთი და იმავე მიზნობრიობისა და შინაარსის მატარებელი ორი პროგრამა. პროგრამები ითვალისწინებდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რიყესა და ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქვალონში სააგენტოს სარგებლობაში არსებულ მიწებზე სიმინდის მოსაყვანად სამუშაოების ჩატარებას და 80 ტონამდე სიმინდის მოსავლის მიღებას. მიღებული მოსავლიდან 20 ტონა სიმინდი უსასყიდლოდ უნდა გადასცემოდათ დევნილ ოჯახებს, ხოლო 60 ტონის რეალიზაციით იგეგმებოდა 90,000 ლარის შემოსავლის მიღება. დაგეგმილი პროგრამების ფარგლებში 148,470 ლარის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვების დოკუმენტაციის შესწავლით ვერ ხერხდება იდენტიფიცირება, კონკრეტულად რა სამუშაოები შეისყიდა სააგენტომ და რა სამუშაოები ჩაატარა მიმწოდებელმა. ასე მაგალითად, გაწეული 27,300 ლარის შრომის ანაზღაურების ხარჯების ანალიზით დადგინდა, რომ სოფელ რიყეში შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები არ იყო გაფორმებული, ხოლო სოფელ ზემო ქვალონის მიწის მოვლა-პატრონობაზე დასაქმებულ პირებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებიდან არ ჩანდა, კონკრეტულად რა სახის სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო. ამასთანავე, არ იყო წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების შესახებ ანგარიშები;

²¹ აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია სააგენტოს მაკონტროლებელი სტრუქტურის (აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო) მიერ გადაგზავნილია საგამომიებო ორგანოში - გენერალურ პროკურატურაში, შემდგომი რეაგირების მიზნით (აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს 2021 წლის 13 დეკემბრის №626/02 წერილი).

- დაგეგმილი პროგრამების განხორციელების მიზნით, სააგენტოს სს „რუსთავის აზოტისაგან“ უსასყიდლოდ გადაეცა 23,954 ლარის ღირებულების 41 ტონა სასუქი. მოწოდებული ინფორმაციით, სასუქი სრულად მოხმარდა, ჯამში, 18 ჰექტარზე დათესილი სიმინდის ნიადაგის განოყიერებას, თუმცა აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი ვერ იქნა წარმოდგენილი. ვინაიდან დადგენილი ნორმით, აღნიშნული მოცულობის სასუქის მოხმარება 1 ჰექტარ მიწაზე, საშუალოდ, 300-500 კგ-ის ოდენობით ხორციელდება, 41 ტონა სასუქით უნდა მომხდარიყო, მინიმუმ, 82 ჰექტარი მიწის განოყიერება. აღნიშნულთან დაკავშირებით, სააგენტოში განაცხადეს, რომ სასუქი იყო მეორადი ამონიუმის გვარჯილა და მასში აზოტის გვარჯილის დაბალი შემცველობის გამო, დანახარჯი იქნებოდა მეტი, კერძოდ, 1 ჰექტარზე – 1,5-2 ტონა (ნორმასთან შედარებით 200-300%-ით მეტი), თუმცა სს „რუსთავის აზოტისაგან“ მიღებული ინფორმაციით, მეორადი ამონიუმის გვარჯილის გადახარჯვა უმაღლესი ხარისხის სასუქთან შედარებით, 1 ტონაზე შეადგენდა მხოლოდ 17 კგ-ს (1.7%). აღსანიშნავია, რომ მიღებული მოსავალი – 40 ტონა სიმინდი (დაგეგმილის ნახევარი), სააგენტოს მიერ შეფასდა 12,000 ლარად და, შესაბამისად, ხარჯეფექტურობიდან გამომდინარე, 172,424 ლარის დანახარჯით 12,000 ლარის ღირებულების მოსავლის მიღება არაეფექტიანი აღმოჩნდა. ამავდროულად, სიმინდის მოსავლის დევნილებისათვის დარიგების პროცესი არ იყო გამჭვირვალე, რადგან ვერ მოხერხდა იდენტიფიცირება – რა კრიტერიუმებით შეარჩია სააგენტომ ბენეფიციარები. ამავდროულად, შერჩეული ბენეფიციარების სიაში დაფიქსირდა ერთი და იმავე ოჯახის რამდენიმე წევრზე მოსავლის გადაცემის ფაქტები, რაც მიუთითებს საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიან განკარგვაზე.

შედეგად, იმის გამო, რომ ვერ დადასტურდა განხორციელებული შესყიდვებისა და ჩატარებული სამუშაოების რეალობა, საბიუჯეტო რესურსები გაიხარჯა არამიზნობრივად და სიმინდის მოყვანისა და დევნილი მოსახლეობის დახმარების ღონისძიებები აღმოჩნდა არაეფექტიანი.

ზემოაღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ინფორმაცია, შესაბამისი მასალებით, გადაიგზავნა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში.

□ აღრიცხვა-ანგარიშგებაში არსებული ნაკლოვანებები

აფხაზეთის ა/რ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების თითქმის ყველა უწყებაში აღრიცხვა-ანგარიშგებაში არსებული ნაკლოვანებები გამოვლინდა რამდენიმე მიმართულებით. გამოვლენილი ნაკლოვანებები ძირითადად დაკავშირებული იყო სამინისტროებსა და სხვადასხვა უწყებაში არაფინანსური აქტივების, მათ შორის, ძირითადი აქტივების, მარაგების, გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების, არამატერიალური აქტივების არასათანადოდ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებებში შესაბამისი ინფორმაციის არასწორად ასახვასთან, რაც არ იძლეოდა ფინანსური ანგარიშგებების სწორად აღქმის შესაძლებლობას და ქმნიდა მომხმარებლებისათვის არარელევანტური ინფორმაციის მიწოდების რისკებს.

აღსანიშნავია, რომ თანხობრივად არასწორად აღრიცხული და/ან ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორად ასახული და გამოვლენილი უზუსტობები სხვადასხვა დაწესებულების მიხედვით მერყეობდა რამდენიმე ათასი ლარიდან ათეულ ათას ლარამდე.

აღრიცხვა-ანგარიშგებაში არსებული ნაკლოვანებები გამოვლინდა: აფხაზეთის ფინანსთა და აფხაზეთის განათლების სამინისტროებში, უმაღლეს საბჭოში, აფხაზეთის მთავრობასა და მის დაქვემდებარებაში არსებულ ორგანიზაციებში, ასევე აფხაზეთის დევნილთა სამინისტროში.

□ სახელმწიფო შესყიდვებში არსებული ნაკლოვანებები


სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას დაფიქსირდა არა მარტო განხორციელებული შესყიდვების შესახებ ინფორმაციის ატვირთვის ვადების დარღვევის ფაქტები, არამედ აღინიშნებოდა სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვასა და კანონმდებლობის სხვადასხვა მოთხოვნის შესრულებაში არსებული ხარვეზები. ჯამში კი გამოვლენილი ნაკლოვანებები ქმნიდა საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანად და არაეკონომიურად ხარჯვის რისკებს.

სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით არსებული ნაკლოვანებები დაფიქსირდა *აფხაზეთის განათლების, აფხაზეთის დევნილთა, აფხაზეთის ჯანდაცვისა და აფხაზეთის ფინანსთა სამინისტროებში.*

4. გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები, რომელთა შესრულებასთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებების შესახებ ყველა აუდიტის ობიექტიდან შემოვიდა სხვადასხვა ოფიციალური ინფორმაცია. ჩატარებული ანალიზით, გაცემული რეკომენდაციების შესრულების მხრივ ცალკეული ორგანიზაციის კუთხით გარკვეული გაუმჯობესების ტენდენციები შეინიშნება, თუმცა საერთო ჯამში მდგომარეობა ჯერ კიდევ შორსაა სასურველისაგან. კერძოდ, ყველა მხარჯავი დაწესებულების მიხედვით, ჯამში 2021 წელს გაცემული რეკომენდაციების 8%-ია შესრულებული, მაშინ როდესაც 2020 წლის ანალოგიური მაჩვენებელი 17%-ს შეადგენდა, ანუ რეკომენდაციების შესრულების პროცენტული მაჩვენებელი შემცირებულია 53%-ით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წელს გაცემული რეკომენდაციების (13 რეკომენდაცია) 77%²² (10 რეკომენდაცია) გაიცა წლის ბოლოსათვის, მიმდინარე სტატუსის მატარებელია და უახლოეს პერიოდში დაგეგმილია მათი შესრულება.

²² 10/13 X 100.

დიაგრამა 4. რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა წლების მიხედვით (%)

2020 წელს გაიცა 33 რეკომენდაცია, რომელთაგან შესრულდა 19 (58%), ჩამოიწერა – 13, ხოლო ერთი – მიმდინარე სტატუსის მატარებელი იყო. 2021 წელს გაიცა 13 რეკომენდაცია, რომელთაგან შესრულდა ერთი (8%), ხოლო 12 რეკომენდაცია გაიცა 2021 წლის ბოლოსათვის, რის გამოც მათი შესრულების ვადები არ დამდგარა და, შესაბამისად, ისინი ატარებდნენ სტატუსს – მიმდინარე.

ცხრილი №2. მხარჯავი დაწესებულებების მიერ 2020–2021 წლებში²³ რეკომენდაციების შესრულება (2021 წელი)


№	აუდიტის ობიექტი	აუდიტის სახეობა	გაცემული რეკომენდაციების რაოდენობა	შესრულებული რეკომენდაციების რაოდენობა	სხვაობა გაცემულ და შესრულებულ რეკომენდაციებს შორის (სვეტი 4/5)	რეკომენდაციების შესრულების % (სვეტი 5/4)	წინა საანგარიშო პერიოდში რეკომენდაციების შესრულების %
1	2	3	4	5	6	7	8
1	აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო	ფინანსური	1	0	3	0	0
2	აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო	ფინანსური	1	0	3	0	0
3	აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	ფინანსური	2	0	2	0	33
4	აფხაზეთის ა/რ იმულებით გადაადგილებულ პირთა -დევნილთა სამინისტრო	ფინანსური	1	0	1	0	0
5	აფხაზეთის ა/რ იუსტიციისა და სამოქალაქო იტეგრაციის	ფინანსური	1	0	1	0	0

²³ აუდიტების 2020 წლის ბოლოსათვის დასრულების გამო, 2020 წლის მონაცემები, რეკომენდაციების შესრულების ვადებიდან გამომდინარე, ძირითადად ატარებს სტატუსს - მიმდინარე.

	საკითხებში მინისტრის აპარატი						
6	სსიპ – ბიზნესინკუბატორი	ფინანსური	1	0	1	0	0
7	სსიპ – სერვისებისა და პროგრამების სააგენტო	ფინანსური	2	0	2	0	0
8	აფხაზეთის ა/რ იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სამინისტრო	შესაბამისობა	2	1	1	50	0
9	სსიპ – სერვისებისა და პროგრამების სააგენტო	შესაბამისობა	2	0	2	0	0
სულ:			13	1	12	8	17

განსხვავებული მდგომარეობაა აუდიტის ობიექტების მიერ 2020-2021 წლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების კუთხით. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ რეკომენდაციების დაბალი მაჩვენებელი ძირითადად განპირობებულია იმით, რომ უმეტეს მათგანს გააჩნია სტატუსი – მიმდინარე, რადგან აუდიტები ძირითადად 2021 წლის ბოლოს დასრულდა.

დიაგრამა 5. რეკომენდაციების შესრულების დინამიკა აუდიტის ობიექტების მიხედვით



5. აფხაზეთის ა/რ უმაღლეს საბჭოში წარდგენილი ინფორმაციები

- მოხსენება „2020 წლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშზე“;

- ინფორმაცია რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვასა და შესრულებასთან დაკავშირებული 2020 წელს ჩატარებული აუდიტების შედეგების შესახებ;
- დასკვნა „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე;
- დასკვნა „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე;
- მოხსენება „2021 წლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ მთავრობის ანგარიშზე“.

□ მოხსენება „2020 წლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშზე“

დადგენილი წესით, 2021 წელს უმაღლეს საბჭოს წარედგინა მოხსენება „აფხაზეთის ა/რ 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ“ მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით.

მოხსენებაში აისახა „აფხაზეთის ა/რ 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის“ შემოწმების, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის დაწესებულებათა აუდიტის განზოგადებული შედეგები, რომელთაც თან ახლდა რეკომენდაციები გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და ხარვეზების გამოსწორების თაობაზე.

აფხაზეთის მთავრობის მიერ ბიუჯეტის მართვის სისტემის სრულყოფისათვის განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, ჯერ კიდევ ფიქსირდება გარკვეული ხარვეზები საჯარო ფინანსების მართვაში, რომელთა აღმოსაფხვრელად, აგრეთვე გრძელვადიანი დაგეგმვისა და შედეგზე ორიენტირებული საბიუჯეტო მართვის პრინციპების დასაწერად, მოხსენებაში აღინიშნა, რომ:

- დაგეგმვისა და შესრულების პროცესში დამატებითი ყურადღება უნდა მიექცეს, ერთი მხრივ, გამოყენებული პროგნოზების საიმედოობასა და რეალისტურობას, მეორე მხრივ, წლის განმავლობაში აგრეგატული მაჩვენებლების იმ ფაქტობრივ ტენდენციებს, რომელთაც შეუძლიათ არსებითი ზეგავლენა მოახდინონ რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების პროცესზე; გაძლიერდეს მუშაობა ბიუჯეტის ფორმირების დროს საბიუჯეტო სახსრების სწორად განსაზღვრა-დაგეგმვის საქმეში;
- მნიშვნელოვანი მსჯელობის საგანი უნდა გახდეს ის ფაქტი, რომ 2020 წელსაც (ისევე როგორც 2019 წელს) დაფიქსირდა რესპუბლიკური ბიუჯეტის დაგეგმვის საწყის ეტაპზე ზედმეტად კონსერვატიული (არასწორი) მიდგომა და, შესაბამისად, ბიუჯეტის როგორც საშემოსავლო, ისე საგასავლო ნაწილის არარეალურად დაგეგმვა გახდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი ბიუჯეტის ანგარიშზე წარმოქმნილი საკმაოდ მაღალი ნაშთისა;
- განსაკუთრებით ყურადსაღებია ცალკეულ შემთხვევაში ფისკალური წლის ბოლოს ბიუჯეტის გადასახდელების ზრდა, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს ობიექტურ

გარემოებებთან, თუმცა ზემოაღნიშნული არსებითი ზრდა საჯარო ფინანსების მართვაში არსებულ სისტემურ ხარვეზებზე მიუთითებს;

- მხარჯავი დაწესებულებების მხრიდან სათანადო ყურადღება დაეთმოს საბიუჯეტო პროცესის მართვას, საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივად და ეფექტიანად მიმართვას და გამოყენებას;
- ყურადღება გამახვილდეს სხვადასხვა ტიპის პროგრამის დაფინანსების მართვასთან და აღნიშნული მიმართულებით სახელმწიფო სახსრების განკარგვის კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებულ პრობლემებზე;
- დამატებითი ყურადღება გამახვილდეს ჯანდაცვის და განათლების პროგრამების მართვაზე, რაც გულისხმობს შესაბამის მონაცემთა ბაზის სრულყოფას და სახსრების განკარგვის კონტროლის გაუმჯობესებას;
- დამატებითი ყურადღება მიექცეს საჯარო სამართლის იურიდიული პირების სახსრების მართვას, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის, ისე შესრულების ეტაპებზე, ასევე სსიპ-ების ფინანსური მონაცემების შესახებ ანგარიშგების სრულყოფას;
- მხარჯავი დაწესებულებების მხრიდან უზრუნველსაყოფია ქონების სწორად, მიზნობრივად, ეფექტიანად და კანონთან შესაბამისობით მართვა-გამოყენება და სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვა;
- ყურადღება გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ სარეზერვო ფონდის სახსრების მიმართვა ცალკეული პირის მატერიალური და სოციალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად იმ პირობებში, როდესაც წლიური ბიუჯეტის კანონით ამ მიმართულებით გათვალისწინებულია შესაბამისი რესურსები აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობების ასიგნებებში, არ არის მთავრობის სარეზერვო ფონდის ფუნქცია;
- მეტი ყურადღება დაეთმოს მხარჯავი დაწესებულებების მიერ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის უტყუარობასა და სისრულეს, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს საანგარიშო პერიოდში არსებული ყველა სამეურნეო ფაქტიდან, ქვეყანაში დადგენილი აღრიცხვა-ანგარიშგების წესებიდან და ასახავდეს ჭეშმარიტ ინფორმაციას.

□ ინფორმაცია რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვასა და შესრულებასთან დაკავშირებით 2020 წელს ჩატარებული აუდიტების შედეგების შესახებ

რაც შეეხება ინფორმაციას 2020 წელს ჩატარებული აუდიტების შედეგებზე, მასში განზოგადებულად აისახა – საშუალოვადიანი სტრატეგიის ფარგლებში წინა პერიოდების გატარებულ ღონისძიებებთან, საჯარო ფინანსების მართვასა და რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით ჩატარებული აუდიტებით გამოვლენილი/დადგენილი ფაქტების შესახებ მონაცემები.

□ დასკვნა „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე უმაღლეს საბჭოში წარდგენილ დასკვნაში გაანალიზდა კანონის პროექტით გათვალისწინებული შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობა და კანონიერება. ამავდროულად აღინიშნა, რომ ბიუჯეტის კანონში ცვლილებების შეტანის პროცესში, პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე გამოყოფილი ასიგნებების გეგმური მაჩვენებლების დაზუსტებისას, სხვა მიზეზებთან ერთად მიზანშეწონილია, მხედველობაში იქნეს მიღებული აღნიშნული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ათვისებული საბიუჯეტო სახსრების მიმდინარე და გასული საბიუჯეტო წლების ტენდენციები, რათა განხორციელდეს საბიუჯეტო რესურსის ეფექტიანი გადანაწილება და განკარგვა.

□ დასკვნა „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე

დასკვნაში აისახა მოსაზრებები გათვალისწინებული შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შესახებ და ამავდროულად აღინიშნა, რომ:

- ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე დამატებით ყურადღებაა გასამახვილებელი განსაზღვრულ პრიორიტეტებზე, რაც უზრუნველყოფს რესურსების ეფექტიან განაწილებასა და განკარგვას დასახელებული პრიორიტეტული მიმართულებებით;
- რეალისტურად უნდა დაიგეგმოს ბიუჯეტის შემოსავლების მობილიზება, განსაკუთრებით „სხვა შემოსავლების“ კომპონენტი, სადაც ფიქსირდება შესაძლო რეზერვების არსებობა;
- გასათვალისწინებელია გასული და მიმდინარე წლების შესრულების ტენდენციები, რათა დასაგეგმი საბიუჯეტო წლისთვის განხორციელდეს საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი გამოყენება და სრულად იქნეს ათვისებული დაგეგმილი ასიგნებები;
- ფუნქციონალურ ჭრილში ბიუჯეტის საგასავლო (ხარჯვით) ნაწილში საბიუჯეტო სახსრების არათანაბარზომიერი (მკვეთრი განსხვავებებით) დაგეგმვა, რესპუბლიკური ბიუჯეტის დაგეგმვაში არსებულ ნაკლოვანებებზე მეტყველებს და აშკარად მიუთითებს არა კონკრეტულ პროგრამებზე, არამედ საერთო დანიშნულების მომსახურებაზე (მოხმარებაზე) ორიენტირებულ ბიუჯეტზე. შესაბამისად, ბიუჯეტის დამტკიცების პროცესში უნდა დარეგულირდეს საბიუჯეტო სახსრების თანაბარზომიერად და პრიორიტეტების გათვალისწინებით (მიხედვით) განაწილება;
- პროგრამული ბიუჯეტის მიმართულებით განხორციელებული აქტივობების მიუხედავად, პროგრამული ბიუჯეტის დანართი დღემდე არ მტკიცდება და შეიმჩნევა მნიშვნელოვანი ხარვეზები, რაც ართულებს, რიგ შემთხვევაში კი შეუძლებელს ხდის, შეფასდეს პროგრამების ეფექტიანობა. ძირითადი ნაკლოვანებები ფიქსირდება

პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში მოსალოდნელი შედეგების ფორმირების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში შედეგების შეფასების ინდიკატორების შემუშავებისა და მეთოდოლოგიური ხარვეზების კუთხით.